


## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოდინება მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელს და შესაბამისად თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას.

**2019 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა წინა წელთან შედარებით მხოლოდ 0,2%-ით გაიზარდა და \$1,268 მილიარდი შეადგინა.**

აღსანიშნავია, რომ **2017 წლის შემდეგ**, ქვეყანაში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მოცულობამ მნიშვნელოვნად, **700 მილიონი დოლარით იკლო.**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ **2019 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპონენტების წილობრივი კომპოზიციაც.** კერძოდ, 2018 წელთან შედარებით, **სავალო ვალდებულებები (სავაჭრო კრედიტები დასესხები) 560%-ით არის გაზრდილი**, მაშინ, როდესაც **სააქციო კაპიტალის კომპონენტის წილი 39% არის შემცირებული.**

	2018	2019*	ცვლილება
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამური მოცულობა	1,265 მლრდ	1,268 მლრდ	+0,2%
მათ შორის:			
სააქციო კაპიტალი	803 მლნ	493 მლნ	-39%
რეინვესტიცია	437 მლნ	612,5 მლნ	+40%
სავალო ვალდებულებები	24,5 მლნ	162 მლნ	+560%

**კითხვა ინტერაქციისათვის:**

1. თქვენი აზრით რა ფაქტორითაა გამოწვეული ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება? ( ქვეყნის შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური რყევები/ საგარეო ფაქტორები )